ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13240305**

თარიღი:**30/01/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქ. N1-ში მდებარე ობიექტის (ახალციხის ციხე), საკადასტრო კოდი 62.09.51.255, ღია სივრცე განკარგოს საჭიროებიდან გამომდინარე.

2. ქ. ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქ. N1-ში მდებარე ობიექტის (ახალციხის ციხე), საკადასტრო კოდი 62.09.51.255, ღია სივრცის 1 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ყოველთვიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 20 (ოცი) ლარის ოდენობით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია-ს 2024 წლის 22 იანვრის # 35/01 წერილით გადმოგზავნილი აუდიტორული დასკვნის თანახმად.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი